ეთიკის კომიტეტის 2025 წლის წლიური ანგარიში

1. ზოგადი ინფორმაცია

ეთიკის კომიტეტი წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მუდმივმოქმედ კოლეგიურ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია ორგანიზაციული და ინსტიტუციური ეთიკის დაცვაზე და შესაბამისი საკითხების განხილვაზე, მათ შორის პრეტენზიებზე, საჩივრებზე, ინტერესთა კონფლიქტზე, შევიწროებაზე, დისკრიმინაციასა და სხვა ეთიკურ დარღვევებზე.

ეთიკის კომიტეტის მანდატი არ მოიცავს კვლევის ეთიკასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც რეგულირდება ცალკე მექანიზმებით.

2. სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო

ეთიკის კომიტეტის სამოქმედო დოკუმენტებია:

- ეთიკის კომიტეტის დებულება;
- უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი;
- ანტიკორუფციული პოლიტიკა;
- მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის პოლიტიკა;
- სტუდენტთა უსაფრთხოების პოლიტიკა;
- სხვა შესაბამისი შიდა მარეგულირებელი აქტები და პროცედურები.

3. კომიტეტის შემადგენლობა

საანგარიშო პერიოდში ეთიკის კომიტეტი შედგებოდა 5 წევრისგან, მათ შორის:

- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები;
- ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელი;
- სტუდენტთა წარმომადგენელი (საკონსულტაციო ხმით).

(პერსონალური მონაცემები არ ქვეყნდება კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით)

4. შეხვედრები და საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში ეთიკის კომიტეტმა ჩაატარა:

- სულ **12** სხდომა, მათ შორის:
- **12** რეგულარული სხდომა;
- **0** რიგგარეშე სხდომები (არსებობის შემთხვევაში).

ეთიკის კომიტეტი იკრიბებოდა რეგულარულად, თვეში ერთხელ, ეთიკის კომიტეტის დებულებით დადგენილი გრაფიკის შესაბამისად.

5. განხილული საკითხების ზოგადი მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში ეთიკის კომიტეტმა განიხილა შემდეგი კატეგორიის საკითხები (პერსონალური მონაცემებისა და დეტალების გამჟღავნების გარეშე):

საკითხის ტიპი	**შემთხვევების რაოდენობა**
• ინტერესთა კონფლიქტი	0
• შევიწროება / არაეთიკური ქცევა	3
• დისკრიმინაციის შესაძლო შემთხვევები	0
• ადმინისტრაციული ეთიკის საკითხები	1
• სხვა	0

საანგარიშო პერიოდში ეთიკის კომიტეტში დაფიქსირდა 3 ფორმალური საჩივარი. კომიტეტმა ასევე განიხილა ეთიკური მმართველობის გაძლიერებასთან დაკავშირებული ინსტიტუციური საკითხები.

6. გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები

ეთიკის კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები მოიცავდა:

- ეთიკური ქცევის სტანდარტების შესახებ **ცნობიერების გაძლიერება** უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტებისთვის რეგულარული საინფორმაციო სესიებისა და ტრენინგების ჩატარება, განსაკუთრებით პროფესიული ეთიკის, კომუნიკაციის კულტურისა და არასათანადო ქცევის პრევენციის მიმართულებით.
- შევიწროებისა და არაეთიკური ქცევის **პრევენციის** მექანიზმების გაძლიერება შესაბამისი შიდა პოლიტიკების, ინსტრუქციებისა და პროცედურების პერიოდული გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო, პატივისცემაზე დაფუძნებული და ინკლუზიური სამუშაო და სასწავლო გარემო
- **ეთიკური საკითხების შესახებ კონსულტაციისა და მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება პერსონალისა და** სტუდენტებისთვის კონფიდენციალური კონსულტაციის შესაძლებლობების გაძლიერება, რათა ეთიკური საკითხები დროულად და ეფექტურად გადაიჭრას.

- **ეთიკის პოლიტიკებისა და პროცედურების პერიოდული შეფასება** უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსისა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკების რეგულარული მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მათი განახლება თანამედროვე ინსტიტუციური მართვისა და კარგი პრაქტიკის შესაბამისად.
- **ეთიკური კულტურის ინსტიტუციური გაძლიერება** უნივერსიტეტში ეთიკური ღირებულებების გავრცელებისა და პასუხისმგებლიანი აკადემიური გარემოს ჩამოყალიბების მიზნით, ეთიკის თემებზე დისკუსიების, სემინარებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება

7. კონფიდენციალურობა და შურისძიებისგან დაცვის პრინციპი

ეთიკის კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში უზრუნველყო:

- უნივერსიტეტში ეთიკური დარღვევების შეტყობინებისა და საჩივრების განხილვისთვის განკუთვნილი მექანიზმების კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა;
- კეთილსინდისიერად მომართვის შემთხვევაში შურისძიების დაუშვებლობის პრინციპის მკაცრი დაცვა.

საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა შურისძიების შემთხვევები.

8. ცნობიერების ამაღლება და პრევენცია

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი პრევენციული აქტივობები:

- ეთიკის პოლიტიკებისა და პროცედურების განხილვა კომიტეტის სხდომებზე;
- უნივერსიტეტის საზოგადოებისთვის ეთიკური ქცევის პრინციპების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მხარდაჭერა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდზე ეთიკის პოლიტიკებისა და საჩივრების წარდგენის პროცედურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხების განხილვა;
- ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების მხარდაჭერა სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

9. დასკვნა და შემდგომი ნაბიჯები

ეთიკის კომიტეტი განაგრძობს საქმიანობას ეთიკური მმართველობის, გამჭვირვალობისა და ინსტიტუციური ნდობის გაძლიერების მიზნით.

მომდევნო საანგარიშო პერიოდში დაგეგმილია:

- მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება;
- ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გაგრძელება;
- შიდა პოლიტიკების პერიოდული გადახედვის მხარდაჭერა.

აღნიშნული ღონისძიებები ემსახურება უნივერსიტეტში ეთიკური მმართველობის გაძლიერებას და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის უწყვეტ გაუმჯობესებას.

10. ანგარიშის გამოქვეყნება

წინამდებარე წლიური ანგარიში გამოქვეყნებულია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

გამოქვეყნების თარიღი: 31 იანვარი 2026 წ.

დამტკიცებულია:

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტის მიერ.

სხდომის ოქმი № 12, თარიღი: 19 დეკემბერი 2025 წ.